



საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

„ანარმოე საქართველოში“ დირექტორის

ბრძანება



KA020116625693721

№ ს-9

05 / თებერვალი / 2021 წ.

სახელმწიფო პროგრამის ანარმოე საქართველოში „მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ფორმის და მონიტორინგის ოფიცრის სამოქმედო არეალის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის № 365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ 12³ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და მე-3 პუნქტის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანარმოე საქართველოში დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო პროგრამის ანარმოე საქართველოში „მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის“ (შემდგომში პროგრამა) კომპონენტის ფარგლებში მონიტორინგის ფორმა (დანართი #1) და მონიტორინგის ოფიცრის სამოქმედო არეალი (დანართი #2).
2. აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს მენარმეობის დეპარტამენტს.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

დანართი #1



მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა

დაფინანსებაზე მონიტორინგის ფორმა

განაცხადი #

1. პირადი ინფორმაცია

სახელი
გვარი
საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
ბიზნესის სტატუსი

მონიტორინგი # 1	
მუნიციპალიტეტი	
სტატუსი	
დასახელება	

2. მემოთავაზებული ადგილმდებარეობა (უძრავი ქონება) აკმაყოფილებს ბიზნესის ფუნქციონირებისთვის საჭირო მოთხოვნებს.

კი	არა
----	-----

3. არსებული აქტივები მუდმივად ბიზნესგეგმაში მითითებულ მდგომარეობაში

კი	არა
----	-----

4. თანდასაქმების თანხით მოთხოვნილი აქტივები (წინ აღმდეგობაში არ მოდიხარ) და სტარტაპის მთავრობის 2014 წლის 30 მაისის "აწარმოე საქართველოში" სახელწოდებით პროგრამის დასაწყისის მქონე #365 დადგენილები 12¹ მუხლის მე-4 პუნქტით და 11 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

არ მოდიხარ წინ აღმდეგობაში	მოდიხარ წინ აღმდეგობაში
----------------------------	-------------------------

5. პროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია წინააღმდეგობაში არ მოდიხარ და სტარტაპის მთავრობის 2014 წლის 30 მაისის "აწარმოე საქართველოში" სახელწოდებით პროგრამის დასაწყისის მქონე #365 დადგენილებასთან.

არ მოდიხარ წინ აღმდეგობაში	მოდიხარ წინ აღმდეგობაში
----------------------------	-------------------------

6. მონიტორინგის ოფიცის მენიშენა (მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში "არა"/"მოდიხარ წინ აღმდეგობაში" პასუხის დაფიქსირების შემთხვევაში, დეტალურად უნდა გაიწეროს თურა კრიტერიუმებთან მოდიხარ არსებული აქტივები/ინფორმაცია წინააღმდეგობაში)

7. მეწარმე სუბიექტის/მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლის კომენტარი

--

უდასტურებ რომ ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია არის სწავლად მიღებული და მუდმივად სინამდვილეს

ხელმოწერის თარიღი

მონიტორინგის ოფიცერი (ბელმოწერა)

დღე	თვე	წელი
-----	-----	------

დანართი #2

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაფინანსებამდე მონიტორინგის ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციის განმარტებას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მონიტორინგის ოფიცერმა.

ა) მონიტორინგის ფორმაში მე-2; მე-3; მე-4 და მე-5 შეკითხვებზე შესაბამისი პასუხის აღნიშვნის შემთხვევაში დგება შემდეგი სახის შედეგები:

- საველე ოფიცრის მხრიდან „არა“/“მოლის წინააღმდეგობაში“ გრაფის მონიშვნის შემთხვევაში მენარმე სუბიექტი გადადის ჩაჭრილი განაცხადების ეტაპზე და ვერ გადადის ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე.
- საველე ოფიცრის მხრიდან „კი“/“არ მოლის წინააღმდეგობაში“ გრაფის მონიშვნის შემთხვევაში მენარმე სუბიექტი გადადის ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე.

შენიშვნა: მონიტორინგის ოფიცერი ვალდებულია შეავსოს მონიტორინგის ფორმაში მოცემული ყველა შემოსვენებული გრაფა.

ბ) მონიტორინგის ფორმაში (დანართი #1) მოცემული შეკითხვების განმარტება:

1. მონიტორინგის ფორმის პირველ პუნქტში ავტომატურად გენერირდება მენარმე სუბიექტის პირადი ინფორმაცია.
2. მონიტორინგის ფორმის მე-2 პუნქტი - შემოთავაზებული ადგილმდებარეობა (უძრავი ქონება) აკმაყოფილებს ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

- „კი“ გრაფის მონიშვნისას:

ამ შემთხვევაში, არსებული საკადასტრო კოდი, მენარმე სუბიექტის მიერ ბიზნესგეგმაში მითითებული საკადასტრო კოდის შესაბამისია ან შემოთავაზებულია ალტერნატიული ადგილმდებარეობა და აღნიშნული ადგილმდებარეობა აკმაყოფილებს ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

- „არა“ გრაფის მონიშვნისას:

ამ შემთხვევაში, მენარმე სუბიექტის მიერ ბიზნესგეგმაში მითითებული საკადასტრო კოდი არ არის შესაბამისი იმისა თუ რაც იყო მითითებული ბიზნესგეგმაში და არ არის შემოთავაზებული ალტერნატიული ადგილმდებარეობა (ალტერნატიული ადგილმდებარეობა არ უნდა ცდებოდეს მენარმე სუბიექტის მიერ უკვე მითითებულ მუნიციპალიტეტს და არ უნდა ხდებოდეს პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტად შეფასებული ლოკაციის ცვლილება) ან/და შემოთავაზებული ადგილმდებარეობა არ აკმაყოფილებს ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს. შესაბამისად მონიტორინგის ოფიცერი მონიშნავს „არა“ გრაფას რის შემდეგაც მე-6 ველში აკეთებს შესაბამის კომენტარს, რომ საკადასტრო კოდი არ შეესაბამება ბიზნესგეგმაში მოყვანილ კოდს და არ არის შემოთავაზებული ალტერნატიული ადგილმდებარეობა ან/და რა ნაწილში არ აკმაყოფილებს არსებული ადგილმდებარეობა ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

3. მონიტორინგის ფორმის მე-3 პუნქტი - არსებული აქტივები შეესაბამება ბიზნესგეგმაში მითითებულ მდგომარეობას.

შენიშვნა: საველე ოფიცერი ვალდებულია მონიტორინგის დაწყებამდე გაეცნოს მენარმე სუბიექტის მიერ ბიზნესგეგმაში მითითებულ აქტივების შესახებ ინფორმაციას (ბიზნეს საქმიანობაში გამოსაყენებელი არსებული ქონების - ველი).

- „კი“ გრაფის მონიშვნისას:

იმ შემთხვევაში, თუ არსებული აქტივები შესაბამისია მენარმე სუბიექტის მიერ ბიზნესგეგმაში მითითებული აქტივისა, მონიტორინგის ოფიცერი მონიშნავს „კი“ გრაფას.

- „არა“ გრაფის მონიშვნისას:

იმ შემთხვევაში, თუ არსებული აქტივები არ არის შესაბამისი მენარმე სუბიექტის მიერ ბიზნესგეგმაში მითითებული აქტივებისა, მონიტორინგის ოფიცერი მონიშნავს „არა“ გრაფას, რის შესახებაც აკეთებს დაბუსტებულ კომენტარს მე-6 გრაფაში (რა კრიტერიუმებით არ შეესაბამება არსებული აქტივ(ებ)ი ბიზნესგეგმაში მითითებულ აქტივ(ებ)ს).

4. მონიტორინგის ფორმის მე-4 პუნქტი - თანადაფინანსების თანხით მოთხოვნილი აქტივ(ებ)ი წინააღმდეგობაში არ მოლის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის "ანარმე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ #365 დადგენილების 125 მუხლის მე-4 ან/და მე-11 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

დადგენილების 12⁵ მუხლის მე-4 პუნქტი:

„სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა ბენეფიციარზე განისაზღვრება 30 000 ლარით, აღნიშნული თანხა მენარმე სუბიექტზე გაიცემა ერთჯერადად, რომლის არანაკლებ 90%-ისა მენარმე სუბიექტის

მიერ მიმართული უნდა იყოს ბიზნესგეგმაში დასახელებული ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად, ხოლო არაუმეტეს 10%-ისა – ბიზნესგეგმაში დასახელებული საბრუნავი საშუალებების შესაძენად.“.

აღნიშნული მუხლი გულისხმობს, რომ მეწარმე სუბიექტის მიერ თანადაფინანსების თანხით შესაძენი აქტივებიდან საბრუნავი საშუალებებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა ცდებოდეს სრული თანხის 10%-ს (მაგალითად, თუკი მეწარმე ითხოვს 30 000 ლარს, საბრუნავი საშუალებებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აჭარბებდეს 3 000 ლარს).

დადგენილების 12⁵ მუხლის მე-11 პუნქტი:

„11. პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება:

- ა) რელიგიური, პოლიტიკური, საომარი და სხვა მსგავსი აქტივობები;
- ბ) ბიოლოგიური აქტივების შექმნა;
- გ) სატრანსპორტო საშუალებების შექმნა, რომლებიც განკუთვნილია ადამიანების გადასაცვანად;
- დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება და მისთვის განკუთვნილი მომსახურება.“.

• **„მოლის წინააღმდეგობაში“ გრაფის მონიშვნისას (ეხება როგორც დადგენილების 12⁵ მუხლის მე-4 ისე მე-11 პუნქტებს):**

იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე სუბიექტის მიერ მოთხოვნილი თანხები ცდება საბრუნავ საშუალებებში დაშვებულ 10%-იან ლიმიტს ან/და თანადაფინანსების თანხით ხდება ისეთი საქმიანობის განხორციელება/ აქტივის შექმნა, რომელიც აღნიშნულია 11-ე მუხლში, საველე ოფიცრის მიერ მონიტორინგის ფორმაში ხდება შესაბამისი აღნიშვნა „მოლის წინააღმდეგობაში“. აღნიშნულის თაობაზე ივსება მონიტორინგის ფორმის მე-6 ველი, სადაც მონიტორინგის ოფიცერი განერს საფუძველს თუ რა სახის წინააღმდეგობაა დადგენილებასთან.

• **„არ მოლის წინააღმდეგობაში“ გრაფის მონიშვნისას (ეხება როგორც დადგენილების 12⁵ მუხლის მე-4 ისე მე-11 პუნქტებს):**

იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის ოფიცრის მიერ არ დგინდება საბრუნავ საშუალებებზე დაფიქსირებული ლიმიტის გადაცდენა ან/და არ არის მოთხოვნილი ისეთი აქტივი რომელიც წინააღმდეგობაშია დადგენილებასთან, მის მიერ ხდება შესაბამისი აღნიშვნა „არ მოლის წინააღმდეგობაში“ - რაც გულისხმობს იმას, რომ მეწარმე სუბიექტის მიერ განერილი ბიუჯეტი არ არის წინააღმდეგობაში დადგენილების მოთხოვნებთან.

5. მონიტორინგის ფორმის მე-5 პუნქტი - პროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია წინააღმდეგობაში არ მოლის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის "ანარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ #365 დადგენილებასთან.

ამ ნაწილში საველე ოფიცერი ამონებს შემდეგ გარემოებას:

წარმოდგენს მეწარმე სუბიექტი ფიზიკურ პირს თუ ბიზნეს საქმიანობას ახორციელებს/განახორციელებს როგორც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (მაგალითად: შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და ა.შ)

• **„მოლის წინააღმდეგობაში“ გრაფის მონიშვნისას:**

იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე სუბიექტი ბიზნეს საქმიანობას ახორციელებს/განახორციელებს როგორც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირი, მონიტორინგის ოფიცერი მონიშნავს „მოლის წინააღმდეგობაში“ გრაფას და ავსებს მონიტორინგის ფორმის მე-6 ველს, სადაც განერს დეტალურ საფუძველს თუ რა სახის წინააღმდეგობაა დადგენილებასთან.

• **„არ მოლის წინააღმდეგობაში“ გრაფის მონიშვნისას:**

იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის ოფიცრის მიერ არ დგინდება, რომ სახეზე არ არის აღნიშნული ნაწილით განერილი წინააღმდეგობა, მის მიერ ხდება შესაბამისი აღნიშვნა „არ მოლის წინააღმდეგობაში“ - რაც გულისხმობს იმას, რომ მეწარმე სუბიექტის მიერ განერილი პროექტი არ არის წინააღმდეგობაში დადგენილების მოთხოვნებთან.

6. მონიტორინგის ფორმის მე-6 პუნქტი - მონიტორინგის ოფიცრის შენიშვნა (მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში "არა"/"მოლის წინააღმდეგობაში" პასუხის დაფიქსირების შემთხვევაში, დეტალურად უნდა გაიწეროს თუ რა კრიტერიუმებთან მოლის არსებული აქტივი/ინფორმაცია წინააღმდეგობაში).


მონიტორინგის ოფიცერი ვალდებულია შეავსოს აღნიშნული ნაწილი და დეტალურად განეროს მიზეზები თუ რა სახის დარღვევა/შეუსაბამობა აქვს მეწარმე სუბიექტს.

მონიტორინგის ოფიცერი ვალდებულია ანარმოს შესაბამისი ფოტო-მასალა ზემოთ ხსენებული ფაქტების დასადასტურებლად და ატვირთოს პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

7. მონიტორინგის ფორმის მე-7 პუნქტი - მენარმე სუბიექტის/მენარმე სუბიექტის წარმომადგენლის კომენტარი:

გრაფა ივსება მენარმე სუბიექტის/მენარმე სუბიექტის წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში. სააგენტო არ არის ვალდებული გაითვალისწინოს ან რაიმე სახის რეაგირება მოახდინოს წარმოდგენილ კომენტარზე.

სსიპ-ის „ანარმოე საქართველოში“
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

მიხეილ ხიდურელი